შეთანხმება

ქალაქ თბილისის მთავრობასა

და

შპს „სავანე–მშენ“–ს შორის

თბილისი

2014 წელი

წარმოდგენილი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) დადებულია 2014 წლის 5 მაისს („ძალაში შესვლის თარიღი”)

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მთავრობა (შემდგომში “მთავრობა“), წარმოდგენილი ქ. თბილისის მერის მოადგილის ირაკლი აბესაძის სახით,

მეორეს მხრივ, შპს „სავანე_მშენი“ (შემდგომში „შპს“), წარმოდგენილი შპს „სავანე_მშენი“–ს დირექტორის ნოდარ მაღლაფერიძის სახით,

ქ. თბილისის მთავრობის 2014 წლის 25 აპრილის #11.27.509 დადგენილების შესაბამისად დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების მიზანი

შეთანხმების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ხერგიანის ქ. #1–ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების პროცესების ხელშეწყობა.

2. შეთანხმების საგანი და მოქმედების სფერო

შეთანხმების საგანია ქ. თბილისში, ხერგიანის ქ. #1–ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის ქ. თბილისის მერის 19.09.2011წ. #2101 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2015 წლის 01 იანვრამდე გადავადება წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3.1. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მთავრობა უზრუნველყოფს: შპს–ს მიერ ქალაქ თბილისის მერის 19.09.2011წ. №2101 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებას 2015 წლის 01 იანვრამდე.

3.2. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შპს უზრუნველყოფს: შენობა–ნაგებობის მშენებლობის დასრულებასა და არაუგვიანეს 2015 წლის 01 იანვრისა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენას და, რომ შენობა-ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. შეთანხმების გაუქმება

შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში წინამდებარე შეთანხმება გაუქმდება და შპს-ს დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს მოსაკრებელი.

5. ცვლილებების და დამატებების შეტანა

შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

შეთანხმება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

ხელმოწერილია:

ქ. თბილისის მთავრობის სახელით სახელით

ქ. თბილისის მერის მოადგილე

ირაკლი აბესაძე

ხელმოწერილია:

შპს „სავანე–მშენი“–ს დირექტორი

ნოდარ მაღლაფერიძე

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 11.27.509

"25" აპრილი 2014 წ.

შპს „სავანე–მშენისათვის" სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებისა და მასთან დაკავშირებით, შეთანხმების დადების შესახებ

ქ. თბილისის მერიას 2014 წლის 8 აპრილის #12/140981031–40 (არქიტექტურის სამსახურში რეგისტრაციის #07/2877–13, 11.04.2014) განცხადებით მიმართა, შპს „სავანე–მშენის" დირექტორმა ნოდარ მაღლაფერიძემ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, ხერგიანის ქ. #1–ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადავადება შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე და მასთან დაკავშირებით, შესაბამისი შეთანხმების დადება. თავის მხრივ, შპს „სავანე–მშენი" იღებს ვალდებულებას, რომ შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე, არაუგვიანეს 2015 წლის 1 იანვრამდე, განცხადებას წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს რომ შენობა–ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ქალაქ თბილისის მთავრობამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 19 სექტემბრის #2101 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებისა და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი. ქ. თბილისში, ხერგიანის ქ. #1–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე შპს „სავანე–მშენს" გადაუვადოს მოსაკრებლის გადახდა და დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–17² მუხლის, "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23¹ მუხლის „ფ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ. №24.02.1078 დადგენილებისშესაბამისად,

ქ. თბილისისმთავრობაადგენს:

1. დაკმაყოფილდეს შპს „სავანე–მშენის" დირექტორის ნოდარ მაღლაფერიძის განცხადება ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 19 სექტემბრის #2101 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე.

2. დადებულ იქნეს შპს „სავანე–მშენთან" შეთანხმება შემდეგიპირობებით:

ა) ქალაქ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს შპს „სავანე–მშენის" ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 19 სექტემბრის #2101 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებას შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, ხოლო შეთანხმების

განხორციელების მიზნით, შპს „სავანე–მშენმა“ უნდა უზრუნველყოს, არაუგვიანეს 2015 წლის 1 იანვრამდე, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ბ) შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმება გაუქმდება და შპს „სავანე–მშენს“ დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის2011 წლის 19 სექტემბრის #2101 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებაზე ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით, ხელმოწერა დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს ირაკლი აბესაძეს.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ.თბილისის მერის მოადგილეს ირაკლი აბესაძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე

თბილისის არქიტექტურა

№ _____

№ _____

# მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/671-1

ნებართვის გაცემის თარიღი „20" 03 2012 წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი 26 მარტი 2012 წ.

ნებართვა ძალაშია 26 მარტი 2014 წ.

დამკვეთი შ.პ.ს. სამშენებლო კომპანია „საგანე-მშენი"

(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლ

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისი, სექტორი გლდანი, ხერგიანის ქ. №1

(მისამართი / ადგილმდებარეობა)

№ 01 / 11 / 12 / 001 / 007

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (შარტავას ქ№7.)

(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (შარტავას ქ№7.)

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება №04/664 20.03. 2012

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: ქ. ნიაური

(სახელი, გვარი)

ბ. ა. III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი

(თანამდებობა)


თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
• თბილისის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ.: (+995 32) 272 22 22 ფაქს.: (+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 585109
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13020006
ამონაწერის მომზადების თარიღი: 28/02/2013 11:40:40

## სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, გ.რჩეულიშვილის ქ., კორ. 6, ბ. 40
ელექტრონული ფოსტა: nana.diakonidze@mail.ru
საიდენტიფიკაციო კოდი: 400028910
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 25/10/2011
მარეგისტრირებელი ორგანო: სჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

## ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01017020362, ნოდარი მაღლაფერიძე, დირექტორი, ,

## პარტნიორები

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 01010005425, ნანა დიაკონიძე, | 50.00000000% | 400028910-SH-00002 |
| 01018003788, ლიზა პერტია, | 35.00000000% | 400028910-SH-00003 |
| 01017020362, ნოდარი მაღლაფერიძე, | 15.00000000% | 400028910-SH-00004 |

## გირავნობა

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.